ნესტან სულავა

წმიდა ნინოს ხატ-სახეები ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულებებში

ნიკოლოზ გულაბერისძის „საკითხავში" წმიდა ნინო მაცხოვრის ხატ-სახით წარმოდგება. სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობისას მეშვიდე სვეტის აღმართვა შეუძლებელი გახდა, მეფე და მისი თანმხლებნი შეწუხებულნი წავიდნენ. წმიდა ნინო და „ათორმეტნი მოწაფენი მისნი დედანი დაადგრეს სუეტსა მას-თანა ღამე ყოველ" (გვ. 28)[1]. გამთენიისას, როდესაც ყველას ეძინა, მოხდა სასწაული, ზეციდან გადმოვიდა „ჭაბუკი ყოვლად ნათლითა შემკობილი, შემოსილი ცეცხლისა ზეწრითა" (გვ. 29), წმიდა ნინოს სამი სიტყვა უთხრა და ჭაბუკმა აღმართა სვეტი ცხოველი. სიმბოლიკა გამჭვირვალე და ნათელია: მაცხოვარი და მისი თორმეტი მოწაფე წმიდა ნინოსა და მისი თორმეტი მოწაფე დედის (ქალის) წინასახეები არიან.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატ-სახე მთლიანად მსჭვალავს წმიდა ნინოს სახეობრიობას. „მოქცევაჲ ქართლისაჲ", ლეონტი მროველისა და არსენ ბერის თხზულებები მოგვითხრობენ წმიდა ნინოს ბავშვობის შესახებ, ცნობებს გვაწვდიან მის ოჯახურ გარემოზე, აღზრდა-განათლებაზე, რომლის ამსახველი ეპიზოდები სიახლოვეს ამჟღავნებენ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ბავშვობასთან. ნიკოლოზ გულაბერისძე არ საუბრობს წმიდა ნინოს ბავშვობაზე, რადგან ეს მისი თხზულების მიზანდასახულობა არ არის. თხზულებაში წმიდა ნინოს დიდი ადგილი იმითაა განპირობებული, რომ მისი მოღვაწეობის ფონზე აღიმართა სვეტიცხოველი და მოხდა სვეტიცხოვლის სასწაულები. მან ის სასწაულები უნდა წარმოაჩინოს, რომლებიც უფლის კვართის, ცხოველი სვეტის, ჯვრისა და სვეტი ნათლისას მეშვეობით ხორციელდება.

წმიდა ნინოს მუდმივად ვხედავთ ქალებით გარემოცულს, რაც სიმბოლურადაა ასახსნელი, იგი მენელსაცხებელე დედათა ხატ-სახით წარმოჩნდება. ქართლში ახლად შემოსული წმიდა ნინო მცხეთაში ექვს ქალთან ერთად მკვიდრდება, რაც რიცხვთა სიმბოლიკის ასახვის თვალსაზრისითაც იქცევს ყურადღებას. „საკითხავის" ერთ-ერთ ეპიზოდში კი წმიდა ნინო 12 ქალთან ერთად ჩანს, რაც, აგრეთვე, საკრალურია.

ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულებაში წმიდა ნინო ერთდროულად შემოდის ორი სიმბოლოს სახით: „დედოფალი“ და „ტყვე“. სამეცნიერო ლიტერატურაში, კერძოდ, რ. სირაძის შრომებში აღნიშნულია, რომ წმიდა ნინოს სახეში ორი ანტინომიური ნიშან-თვისებაა შერწყმული, ესაა „დედოფალი“ და „ტყვე“, რომელთაგან წმიდა ნინოს დედოფლობა, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის დედოფლობასთან ერთად, ქართულ ქალ-ღვთაებათა არქეტიპულ სახეებთან არის დაკავშირებული. მაგ., დალი, მეგრული „ტყაში მაფა“, რომელიც, თავის მხრივ, დალის სახესხვაობაა, პირიმზე და სხვანი, რომელთა ცალკეული თვისებები ჩანს წმიდა ნინოს სახეში და რომლის სახის მიღმა უნდა ვიგულვოთ ზოგადქართული ღვთაება, ანდა წარმართული პანთეონის ქართლში გა-ვრცელებული მისი სახე, რომელიც ყველაზე მთავარი კულტი იქნებოდა. მისი დე-საკრალიზება ხდება წმიდა ნინოს მიერ[2].

წმიდა ნინოს დედოფლობა უშუალოდ უკავშირდება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის დედოფლობას, რაც მრავალგზის აღინიშნება საღვთისმშობლო საკითხავებსა და საგა-ლობლებში, რომლის საფუძველი ფსალმუნთა წიგნის წინასწარმეტყველებაა: „დადგეს დედოფალი მარჯუენით შენსა სამოსლითა ოქროქსოვილთა შემკულ და შემოსილ“ (ფს. 44. 10). წმ. იოანე დამასკელი საღვთისმშობლო სახელთაგან უპირველესად დედო-ფალს განმარტავს საკითხავში „შობისათჳს ღმრთისმშობლისა“: „გიხაროდენ, დედო-ფალო, რომელმან დედად ყოველთა უფლისა წოდებითა დედოფლობაჲ დაიმკჳდრე, რომლისათჳს უკუეთუ ვინმე თქუას მონა შენდა ყოფაჲ ყოვლისა დაბადებულისაჲ, არა განვარდეს იგი წესიერებისაგან მეტყუელებისა“[3]. ღვთისმშობლის დედოფლად მოხსენიება მის გენეალოგიურ შტოსთანაც უნდა იყოს დაკავშირებული, იგი დავითის ძისაგან აღმოცენებულად მიიჩნევა. წმიდა იოანე დამასკელი წერს: „მ, ასულო შუენიერო და ტკბილო! მ, შროშანო შორის ეკალთა აღმოცენებულო აზნაურისა და სამეუფოჲსა მისგან ძირისა დავითისასა“[4]. წმიდა ანდრია კრიტელი ამბობს: „გიხაროდენ, კუერთხო აჰრონისო, ძირო იესესო, მორჩო დავითისო, შესამოსელო სამეუფოო“[5].

ყოველივე ეს იმას მოასწავებს, რომ წმიდა ნინო, საქართველოში ღვთისგან ღვთისმ-შობლის მონაცვლად წარმოგზავნილი, აგრეთვე, დედოფალია, სულიერი დედოფალია ახლად მოქცეული საქართველოსი. საქართველოს სულიერი დედოფლობის პატივი წმიდა ნინოს ხვდა წილად საქართველოს სულიერი ცხოვრების მოსაწესრიგებლად. აგრეთვე, იგი არის დედა ყოველთა ქართველთა, რაც სიმბოლურადაა გასააზრებელი, ვინაიდან წმიდა ნინო არის ქართველი ერის სულიერად მშობელი. ამ კონტექსტში თითქოს მოულოდნელია წმიდა ნინოს მოხსენიება ტყვედ და უცხოდ, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული ეპითეტებია, ვინაიდან ტყვე იგივე უცხოობაში მყოფია, წარტაცებულია, სხვა ქვეყანაში მყოფია. გარდა იმისა, რომ წმიდა ნინო ქართველთათვის უცხო ქვეყნი-დან მოსულია, — ეს არსებითი არ არის მისი ტყვეობისა და უცხოობის განსასაზღვრად, — მისი უცხოობა უფრო ღრმა და მისტიური ფაქტორითაა ასახსნელი. ცნობილი ფაქ-ტია, რომ წმიდანის სათნოებათა წარმოჩენისას ჰაგიოგრაფები განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებენ სოფლიდან განდგომაზე, უცხოობის სურვილზე, ანუ მშობლიური გარემოდან გარესამყაროში გასვლის სურვილზე. ცხადია, იგი ევანგელურ სწავლებას ეფუძნება,

რაც შემდგომ წმიდა გრიგოლ ნოსელმა წმინდანის საღმრთო მოქალაქობის ერთ-ერთ საყრდენად მიიჩნია.

აქ გასათვალისწინებელია უცხოობის არსობრივი მნიშვნელობა, ადამიანის „ყოვლისა გონებისათა უცხო-ყოფაჲ“ (ფილ. 4. 7) განისაზღვრება მისი მიმართებით ზესთასოფ-ლისა და სოფლისადმი. წმიდა ნინო მრავალმხრივაა „უცხო“: უპირველეს ყოვლისა, იგი სხვა, უცხო ქვეყანაში მყოფია და უცხოა მანამ, სანამ საქართველოს ქრისტეს სჯულზე არ მოაქცევს; მთავარი კი ისაა, რომ, წმიდა გრიგოლ ნოსელის სწავლებით, იგი უცხო ექმნა „ჴორცთა ჩუენთა სიყუარულისა და წყალობისაგან, რათა არა ნებისაებრ ჴორცთაჲსა ყოფითა თანამდებ იქმნას განსაცდელთა მათ ჴორციელთა“[6]; „კაცმან თავი თჳსი სრულიად ვნებათაგან ჴორციელთა უცხო-ყოს“[7], ვინაიდან ადამიანმა ისეთი საქმე და ისე უნდა აკეთოს, რომლის გამო სხვანი აქებდნენ; არა მხოლოდ საკუთარ თავს, სულს, სხვათაც არგოს. ამა სოფლის საცთური სულის განწმენდილი თვალით მოიხილოს და „უზეშთაეს საქმეთა მისთა იქმნას და ვითარცა მოციქული იტყჳს: ყოველი კეთილი მისი სიმყრალედ და უბადრუკებად შეჰრაცხოს (შდრ.: ფილ. 3. 8) და უცხო-ყოს თავი თჳსი მისგან, მას არცა ერთი აქუს ზიარებაჲ კაცობრივთა მათ ბოროტთა თანა“[8]. უცხოება, მისტიური გაგებით, არის ანგელოზებრივი ბუნების ერთგულება და ხორციელ გულისთქმათაგან, ამაოთა გამო ზრუნვათაგან განთავისუფლება. უცხო, უცხოქმნული არის „მაღალსა რასმე სახედველსა აღსრული“[9]. წმიდა ნინო უცხოა იმიტომაც, რომ იგი, თვისთაგან გამოსული, პირველსახემიღებული, უცხოდქმნილი უნდა წარსდგეს უზენაესის წინაშე. უცხო სხვად ყოფნაა, ეს „სხვა“ წინარესაგან განსხვავებულობას მიანიშნებს და წმიდა ნინოში ქართლის სულიერ განმაახლებელს მოგვააზრებინებს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დედოფალი და ტყვე, დედოფალი და უცხო ანტინომიური ბინარული ოპოზიციაა, რომელიც წმიდა ნინოს, ვითარცა წუთი-სოფლისაგან უცხოდქმნილის, სულიერების უკეთ წარმოჩენას ისახავს მიზნად. დედოფა-ლი, ტყვე, უცხო წმიდა ნინოს გამორჩეულობას აღნიშნავს, რაც წინასწარვე მოასწავებს მის იშვიათ, განსაკუთრებულ სულიერ მისიას.

წმიდა ნინო, როგორც მკურნალი, ღრმა სახისმეტყველებითაა დახასიათებული ნა-წარმოებში. ნიკოლოზ გულაბერისძე მოგვითხრობს წმინდანის მძიმე განცდების შესახებ ქართველი ერის „ეშმაკთაგან წარტყჳენულობისა“ (გვ. 10) გამო, „ერსა მას დაბნელე-ბულსა ქართლისასა“ (გვ. 10) ღმერთად მიჩნდა ორი ქანდაკება — ოქროს ჯაჭვმოსილი სპილენძის კაცი, ძვირფასი თვლებით (ზურმუხტი, ბივრიტი) შემკული და სრულიად ოქროსგან გამოქანდაკებული კაცი — გაც და გაიმ. წმიდა ნინო „ცრემლოოდა“ ერის სულიერი სიბნელისა და წარწყმედის გამო და თავის უცხოებას იგლოვდა. იგი შეძრწუნებული ადევნებდა თვალყურს სპილენძისაგან ჩამოსხმული ოქროში ჩასმული კერპების თაყვანისცემას სულიერებადაკარგული ერის მიერ.

„არმაზობის“ წარმართულ დღესასწაულზე კერპებისადმი თაყვანისმცემელი ხალხის ხილვით შეძრწუნებულმა წმიდა ნინომ უღმერთობაში ამხილა ქართველი ერი, ღმერთს შესთხოვა კერპთა მსხვრევა, უფლის მიმართ ლოცვა აღავლინა, რათა ქართველი ერი გამოიხსნას „ჴელთაგან განმრჴუნელთასა“ (გვ. 11). ლოცვას დიდი ძალა აქვს, როდე-

საც ის ჭეშმარიტი რწმენით, წმინდა გულით, ღვთის სასოებითა და სიყვარულით წარმოითქმება. წმიდა ნინოს ლოცვამ საფუძველი ჩაუყარა ქართველთა განწმენდას. არმაზის მსხვრევის, არმაზული ეპოქის დასრულების წინ წმიდა ნინოს მიერ წარ-მოთქმული ლოცვა, მიმართული ლითონისგან ჩამოსხმული კერპების თაყვანისცემის წინააღმდეგ, ებრაელთათვის ცოდვათა მისატევებლად მოსე წინასწარმეტყველის ლოცვას შეიძლება შევადაროთ (გამოსლ. 15. 1-19). ნიკოლოზ გულაბერისძის მიერ აღწერილი და გადმოცემული ეპიზოდი ქართველთა ურწმუნობისა, კერპთთაყვანისმცემლობისა დასტურია იმისა, რომ საქართველო, მისი დედაქალაქი მცხეთა დაცემულია, „ბნელსა შინა მყოფია". წმიდა ნინოს ლოცვა კერპთა მსხვრევის წინ წინასწარვე მოასწავებს ქართველი ერის მომავალ სულიერ ფერისცვალებას. წმიდა ნინო წარმართულ კერპებს დაუპირისპირდა არა ძალით, ეს მას — ნაზსა და სათნო არსებას — არც შეეძლო, არ-ამედ მხურვალე ლოცვით, რომლის შედეგიცაა არმაზისა და ზადენის კერპთა მსხვრევა, გაცისა და გაიმის ქანდაკებათა მსხვრევა და მათ საპირისპიროდ ქართლში ჭეშმარიტი სარწმუნოების დამკვიდრების დასაწყისი. ლოცვა რწმენის გამოხატულებაა", ამიტომ წმიდა ნინოს ლოცვას სულიერი კურნების ძალა აქვს. აღვნიშნავთ, რომ წმიდა ნინოს ლოცვა შესმენილ იქნა: „ისმინა უფალმან ვედრებისა ჩემისაჲ, უფალმან ლოცვაჲ ჩემი შეიწყნარა" (ფს. 6. 9), რაც ფსალმუნური სიტყვებითაა მოტივირებული. მან ხომ ვაზის ჯვარი („ჯუარი ნასხლევისა") შეიმზადა, — თავისი თმებით შეკრა, — და შეუდგა საუფლო კვართის ადგილის ძიებას, ვინაიდან იერუსალიმიდანვე იცოდა, რომ იგი მცხეთას ინახებოდა. ნიკოლოზ გულაბერისძე საღმრთო განგებულებით საქართველოს გამორჩეულ ქვეყნად მიიჩნევს და საზეპუროს უწოდებს". მიუხედავად ამისა, მაინც საჭიროდ მივიჩნიეთ ტექსტის დამოწმება სხვა პრობლემის განსახილველად: „რამეთუ წინაასწარვე განეგო სახიერსა მას ამის სამეუფოსა ერად საზეპუროდ შემზადებაჲ და ვინაჲთგან ნაწილიცა იყო ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისა, ამისთჳს უფროესღა ღირს იქმნა ამას საშინელსა მადლსა ესე კედარი, ამისთჳსცა უკუე წინაასწარვე წარ-მოავლინა მადლი ღმრთეებისა მისისაჲ, რაჲთა პირველადვე დაიწინდოს კუართითა მით და მადლითა ღმრთეებისა მისისაჲთა" (გვ. 14). მაყვლოვანში ყოფნისას წმიდა ნინოს საღმრთო ჩვენებით მიენიშნა უფლის კვართის ადგილი, მაგრამ იმ ადგილზე ტაძრის აღმართვამდე საჭირო იყო ქრისტეს სჯულზე ნანა დედოფლისა და მირიან მეფის მოქცევა.

ნანა დედოფლის გაქრისტიანებასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს წმიდა ნინოს ლოცვის დრო და ადგილი, ე. ი. დედოფლის გაქრისტიანების ქრონოტოპს სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭება, სენის მძვინვარებისაგან იძულებულმა დედოფალმა თავისთან ახმობინა კაბადოკიელი უცხო ტყვე ქალი, რომელიც „მაყუალთა მათ შინა ილოცჳდა ჟამსა მეექუსესა", „ვითარცა აუწყეს ბრძანება დედოფლისა" (გვ. 18); წმიდა ნინოს სიტყვისამებრ, დედოფალი მაყვლოვანში მოჰგვარეს, რასაც, აგრეთვე, სიმბოლური დატვირთვა აქვს. ქვეყნის დედოფალი მაყვლოვანში უნდა განიკურნოს უფლის ნებით, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მეოხებითა და წმიდა ნინოს ლოცვით. მაყვლოვანი ღვთისმშობლის ქრონოტოპული გააზრების საფუძველს იძლევა. ქვეყნის დედოფალი, ე.

ი. თავისი სტატუსით საქართველოს დედოფალი, სულიერი დედოფლის, ანუ ყოვლად-წმიდა ღვთისმშობლის საფარველს ქვეშ უნდა მოექცეს აგრეთვე სულიერი დედოფლის წმიდა ნინოს მეშვეობით, ნანა დედოფალი სულიერი დედოფალიც უნდა გახდეს.

წმიდა ნინოს მიერ ქართველი ერის მოქცევა საფეხურებრივად უნდა განხორციელდეს, იგი ერთბაშად ვერ მოხდება, რისთვისაც ავტორი მეტაფორულ გამომსახველობით საშუალებებს იყენებს: „გარნა ჯერეთცა არა ვიდრემე ცხად-ჰყოფდა, ვინაჲთგან ვერ შემძლებელ იყვნეს საზრდელისა მტკიცისა მიღებასა, ვერცა თუ სძისა შემწყნარებელნი (შდრ.: ებრ. 5. 12) არამედ რეცა მიზეზითა წამალთაჲთა ჰკურნებდა და ესრეთ იქცეოდა ქალაქსა მას შინა სამ წელ“ (გვ. 12). უაღრესად მნიშვნელოვანია მტკიცე საზრდელისა და სძის სიმბოლიკა, რომლისთვისაც ქართველი ერი წმიდა ნინოს მოღვაწეობის და-საწყისში მზად არ აღმოჩნდა, რის გამოც წმიდა ნინო ისე იქცეოდა, თითქოს წამლით მკურნალობდა სნეულთ. ქართველთა შორის ჯერ სულიერი სიჩვილეც არ იყო და ამიტომ უხდებოდა ამგვარად მოქცევა სამი წლის განმავლობაში. სამი წელი გამოცდის პერიოდია, სიმბოლური რიცხვია, რაც ღმერთის სამპიროვნებაზე, სამგვამოვნებაზე მიუ-თითებს.

ქართველ ერს საბერძნეთიდან მოსული სასულიერო პირი იოანე ასწავლის ღმრთისმ-სახურებას, რადგან ერი ჯერ არ არის მზად იმისთვის, რომ თავად გაუძღვეს ამ წმიდა საქმეს, რადგან, ნიკოლოზ გულაბერისძის სიტყვით: „ხოლო იოანე რაჲთა დაადგრეს და არა დაუტევნეს ვითარცა ახალნერგნი და უსწავლელნი და საზრდელისა მტკიცისაგან ჯერეთ უცხონი და ჯერეთცა სძის მოქენენი“ (გვ. 38). აქაც მტკიცე საზრდელისა და სძის სიმბოლიკითაა მინიშნებული ქართველი ერის სულიერი სიჩვილე, რომელსაც სარწმუნოებით აღზრდა სჭირდება[12].

ნიკოლოზ გულაბერისძე კომპოზიციურად რთულ ნაწარმოებში საგანგებოდ ჩერდება მირიან მეფის მოქცევის დეტალებზე, ვინაიდან ესაა ერის მოქცევის უმნიშვნელოვანესი საფეხური. ავტორი მიჰყვება წმიდა ნინოს „ცხოვრებათა“ ძველ ვერსიებს და გვიამბობს თხოთის მთაზე ნადირობისას მზის დაბნელების, სამყაროს დაბნელების ამბავს, რომელ-შიც ცენტრალური ადგილი მირიან მეფეს უჭირავს. აქაც ქრონოტოპის სიმბოლურობა იპყრობს ყურადღებას. მირიან მეფე თხემის ოდნავ სამხრეთით იმყოფებოდა, როდესაც ირგვლივ ჩამობნელდა; ევანგელური და საღვთისმეტყველო ლიტერატურის სწავლე-ბით, სამხრეთი მზის ადგილია, ის ადგილია, საითკენაც მიისწრაფვის სინათლე, მზე, წამოსული აღმოსავლეთიდან. ამასთან, მირიანი იმყოფება მთაზე; მთა კი ის ადგილია, სადაც ღვთის მცნებები ეუწყა მოსე წინასწარმეტყველს, რათა ამცნოს იგი ხალხს, და სადაც ღვთივმოვლენილი სასწაულები ხდება. კერძოდ, მთაზე, სინას მთაზე მიიღო მოსე წინასწარმეტყველმა ღმერთისაგან ათი მცნება; მთაზე, თაბორის მთაზე იცვალა ფერი ქრისტემ, ძე ღვთისამ თავისი სამი მოწაფის წინაშე და ეჩვენა მათ ღვთაებრივი სახით. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ მთა საკრალური ადგილია, სადაც მისტიური ხილვით ღმერთთან მიახლება და წვდომა შეიძლება. ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში, კერ-ძოდ, ფსალმუნში, დაისმის კითხვა, ვინ შეიძლება ავიდეს მთაზე: „უფალო, ვინ დაეშენოს კარავსა შენსა, ანუ ვინ დაემკვიდროს მთასა წმიდასა შენსა?“ (ფს. 14. 1); „ვინ აღვიდეს

მთასა უფლისასა? ანუ ვინ დადგეს ადგილსა წმიდასა მისსა?“ (ფს. 23. 3), რომელთა პასუხებში იკვეთება ადამიანის სრულყოფილების, ზნეობრივი სისრულის აუცილებლობა: „უბრალოჲ ჴელითა და წმიდაჲ გულითა, რომელმან არა აიღო ამაოებასა ზედა სული თჳსი და არცა ეფუცა ზაკუვით მოყუასსა თჳსსა. ამან მოიღოს კურთხევაჲ უფლისაგან და წყალობაჲ ღმრთისაგან მაცხოვრისა მისისა“ (ფს. 23. 4–5). ფსალმუნთა განმმარტებლები (წმ. ბასილი დიდი, წმ. კირილე ალექსანდრიელი) აღნიშნავენ, რომ წმიდა მთა ზეციური ქალაქია, ზეციური იერუსალიმი[13]; სულიერი ამაღლება, ზნეობრივი სრულყოფა ადამიანისა მთას ასვლით გვირგვინდება, რაც მისი განღმრთობის საწინდარია.

მირიან მეფის თხოთის მთაზე, მის სამხრეთ კალთაზე ყოფნა უთუოდ მოასწავებს მის ფერისცვალებას. მირიანის აღიარება და თხოვნა წმიდა ნინოს ნაქადაგები ღმერთის წინაშე ნათელს გამოუბრწყინებს მას და ქრისტეს გზაზე დააყენებს. მეფის ფერისცვალება, მისი მოქცევა ხდება მეშვიდე ჯამს, ხოლო შვიდი ქრისტიანულ საღვთისმეტყველო ლიტერატურაში სრულყოფილების სიმბოლოა, რაც იმას ნიშნავს, რომ მირიანის გაქრისტიანებით საფუძველი მზადდება ქართველი ერის სულიერი სრულყოფისათვის[14]. არმაზული ეპოქა მთავრდება და ქრისტიანული იწყება!

ამიერიდან წმიდა ნინო და მირიან მეფე ერთად მოქმედებენ, ერთად აშენებენ უფლის კვართის ადგილზე ტაძარს, ეს ტაძარი სიონია, ე. ი. ღვთისმშობლის სამკვიდროა, და თორმეტი მოციქულის სახელობისაა. წმიდა ნინოს „ცხოვრების“ შატბერდული რედაქცია არ ასახელებს შვიდ სვეტს, მხოლოდ ერთია ნახსენები და სწორედ იგია ცხოველი სვეტი, ლიბანის ნაძვის ხისგან დამზადებული (იგივე კვიპაროსი). ლეონტი მროველი კი შვიდ სვეტს ასახელებს; ამ ტრადიციას აგრძელებს ნიკოლოზ გულაბერისძეც. უთუოდ საყურადღებოა მეშვიდე სვეტის აღმართვის სასწაულებრივი ისტორია, რაშიც უდიდესი მნიშვნელობა ეკისრება წმიდა ნინოს ლოცვას, ვინაიდან ადამიანის ხელმა ვერ შეძლო სვეტი ცხოველის აღმართვა; ეს ის მთავარი სვეტია, რომელიც ღვთის ნებით აღიმართა უფლის კვართის ადგილზე, სადაც იდგა ცხოველი ხე — ნაძვი ლიბანისა; სწორედ იგია მცველი ქართველთა და სრულიად საქართველოსი. მას სასწაულებრივი ძალა მიენიჭა. მირიან მეფემ წმიდა ნინოსთან ერთად განიზრახა სვეტი ცხოველისათვის „გარე საბურველის“ შექმნა, საბერძნეთიდან სასულიერო პირთა მოწვევა. ამიერიდან მირიან მეფე წმიდა ნინოს მოციქულის შესაფერ პატივს მიაგებს. თვით წმიდა ნინო მუდმივად ზრუნავს ქრისტიანობის განსამტკიცებლად. იგი მრავალ სასწაულს სჩადის, რითაც ქართველი ერის ჭეშმარიტ სულიერ მკურნალად გვევლინება. წმიდა ნინო სულიერად მღვიძარეა, მან მთელი მაყვლოვანი უხილავ, ზეციურ სამოთხედ გადააქცია, აქვე, მაყვლოვანთან ახლოს, აიგო სვეტი ცხოვლის ტაძარი. სვეტი ცხოვლისთვის „გარე საბურველის“ მშენებლობისას წმიდა ნინო კვლავ მაყვლოვანშია და კვლავ ლოცულობს, ამჯერად სამადლობელ ლოცვას აღავლენს ღვთის წინაშე.

წმიდა ნინო ლოცულობდა ქართველი ერის სულიერი ხსნისათვის, მოყვასის შეწევნისათვის, კერპთა დასამსხვრევად, სვეტიცხოვლის — მთავარი სვეტის აღსამართავად, ეკლესიის ასაგებად უფლის კვართის ადგილზე, რაც შესმენილ იქნა.

წმიდა ნინო ზედმიწევნით მისდევს ფსალმუნურ სწავლებათა აღსრულებას, რომლებიც შემდგომ საფუძვლად დაედვა ცხრა ნეტარების დებულებებს. ნიკოლოზ გულა-

ბერისძის „საკითხავის“ მიხედვით, წმიდა ნინო სულით გლახაკია, მშვიდია, რის გამოც იგი ცათა სასუფეველს იმკვიდრებს; გულით მგლოვიარეა და მხოლოდ ქართველი ერის სულიერების ხსნისათვის ზრუნავს; სიმართლისათვის მშიერ-მწყურვალი და მშვიდობისმყოფელია, რომელსაც განამტკიცებს ღვთის რწმენა, სასოება და სიყვარული. წმიდა ნინო მოწყალე ბუნებით გამორჩეულია, გულით წმიდაა, რის შედეგიცაა მისი ღმრთისმხილველობა.

წმიდა ნინოს მოქმედება მთლიანად ქრისტიანულ სათნოებებს ემყარება: სიყვარულს, სულგრძელობას, სიტკბოებას, სახიერებას, მყუდროებას, მოთმინებას, სიმდაბლეს, მოწყალებას, უმანკოებას, სიმშვიდეს, მარხვას, რწმენას, სასოებას. იგი ცდილობს ცოდვილთა მოქცევას, უმეცართა სწავლებას, მწუხარეთა ნუგეშისცემას, შემცოდეთა (თანანადებთა) მიტევებას, მოყვასთა საცხოვნებლად ღმერთის წინაშე ვედრებას.

ნიკოლოზ გულაბერისძის „საკითხავში“ წმიდა ნინოსთან ერთად მირიან მეფისა და ნანა დედოფლის სახე-ხატები იქცევენ ყურადღებას, მათი წარმოჩენა ცალკე კვლევის საგანია.

აქვე საჭიროდ მივიჩნევთ საგალობლებზე საუბარს, ვინაიდან „საკითხავი“ და „გალობანი“ ერთი ავტორის შექმნილია და ერთი მიზანდასახულობა აქვთ.

წმიდა ნინოს სახე ნიკოლოზ გულაბერისძის საგალობლებში საღვთისმეტყველო კონტექსტებითა და სახისმეტყველებითაა წარმოსახული. უნდა აღინიშნოს, რომ საგალობელი წმინდანის ცხოვრებას არ გადმოგვცემს, იგი წმინდანის ქებაა, შესხმაა, რომელშიც წმინდანის ძირითადი თვისებები განზოგადებულად აისახება, წმინდანის სათნოებები წარმოჩნდება, წმინდანის ღვაწლის შეფასება გადმოიცემა, მისი ღვაწლი კი განღმრთობით სრულდება. წმინდანი ხშირად შედარებულია ბიბლიურ პერსონალიებთან, რომლებიც მუდმივ ზნეობრივ მაგალითად, ზნეობრივ გზამკვლევად გვევლინებიან საზოგადოდ კაცობრიობის ისტორიაში.

ნიკოლოზ გულაბერისძის საგალობლებში წმიდა ნინოს წინასახეებად მიჩნეულნი არიან ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი, ძველი დიდი მოსე, წმიდა ანდრია პირველწოდებული. მოსე წინასწარმეტყველთან წმიდა ნინოს შედარება იმის ნიშანია, რომ იგი ქართველთა სულიერი წინამძღოლია, რომელმაც ერი კვლავ აზიარა ჭეშმარიტ სარწმუნოებას, რის გამოც იგი ეროვნულ წმინდანად იქცა. ამიტომ არის იგი „დედაჲ ქართველთა თემისაჲ, არმაზის მეხის დამტეხელი“, „სანატრელი დედა“, „ქართლის მაცხოვარი“, „მოციქულთა სიქადული და დედათა დიდება“, „რომელმან მეხდატეხილ ჰყვენ ბომონნი და ბაგინნი და წარჰრღუნენ ყოველნი საპკურებელნი მათნი და გამოგუბრწყინვე ჩუენ ნათელი ღმრთეებისაჲ ბნელისა უმეცრებასა მსხდომარეთა“ (გვ. 72); წმიდა ნინო ის სანატრელი დედაა, „რომელსა ქრისტემან ღმერთმან მიანიჭა მოციქულებაჲ და ღირსიქმნა უხილავისა სუეტისა ამაღლებასა საკჳველსა და კუალად შთამოსლვასა“ (გვ. 74). საგალობლის ეს სიტყვები, ცხადია, ჰაგიოგრაფიულ მონათხრობს ემყარება.

ნიკოლოზ გულაბერისძე საგალობლებში წმიდა ნინოს წმიდა ანდრია მოციქულთან ერთად მოიხსენიებს და ორივეს ერთად მოიაზრებს, ვითარცა ქართველთა განმანათლებლებს: „ვითარცა ორთა ქადაგთა სახეთა მდინარისათა დიდმან ანდრეა და ღირსმან ნინო წარჰრღუნეს ყოველი სიხენეშჱ კერპთაჲ ქართველთა თემისა. ეგრე სახედ ესე

ორნი მდინარენი წარჰრღუნიან ყოველსა სიბილწესა და კეთილსა ნაყოფსა რწყვენ დაუცხრომლად“ (გვ. 68). ეს კი იმას ადასტურებს, რომ ნიკოლოზ გულაბერისძე ქართველთა განმანათლებლებზე — წმიდა ანდრია მოციქულსა და წმიდა ნინოზე ყურადღების გამახვილებით ერთდროულად აღნიშნავს ქართველი ერის რჩეულობის რამდენიმე ნიშანს: 1. საქართველოს ხვდა პატივი უფლის კვართის მის მთავარ ტაძარში სვეტის ადგილას დავანებისა; 2. საქართველოს ეკლესია სამოციქულოა, აქ იქადაგა წმიდა ანდრია მოციქულმა; 3. საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრია და, აქედან გამომდინარე, მას სულიერ მემკვიდრედ ჰყავდა ქალი, წმიდა ნინო. ღვთაებრივი ნათლის სვეტის ჩამოშვებით გამოჩნდა უფლის კვართის დაფლვის ადგილი, რომელიც წმიდა ნინოს მოსვლამდე უჩინარი, უცნობი იყო, მხოლოდ ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ იქნა მიკვლეული უფლის მინიშნებით წმიდა და საკრალური ადგილი უფლის კვართისა ღვთის სახლის ასაგებად.

საქართველოში, მცხეთაში უფლის კვართის დაფლვამ მცხეთა მეორე იერუსალიმად, „ახალ იერუსალიმად“, ზეციურ, სულიერ ქალაქად გარდასახა[5]. საქართველოში უფლის კვართის ჩამოტანამდე, წმიდა ანდრია პირველწოდებულისა და შემდეგ წმიდა ნინოს მოსვლამდე, ქართველი ერი „ბნელსა შინა ჯდა“, საქართველო იმყოფებოდა ბარბაროზთა და წარმართთა ხელთ, რის გამოც ნიკოლოზ გულაბერისძემ, ზემოთაც მივუთითეთ, „გალობანში“ მცხეთას „ოდესმე მგლოვიარე ქალაქი“ უწოდა. საგალობელთა მიხედვით, საქართველოს ცხოვრება ორ ისტორიულ დროშია გამოვლენილი: ქრისტიანობამდე და ქრისტიანობის შემდეგ. ლიტურგიკულ ღვთისმსახურებაში მცხეთის „ოდესმე მგლოვიარობის“ აღნიშვნა იმის ნიშანია, რომ საღვთო გზაზე შემდგარ ქვეყანას, მის ხალხს განღმრთობის საშუალება ეძლევა. ამიტომ ეწოდა მას „ერი საზეპურო“.

ნიკოლოზ გულაბერისძის „საკითხავსა“ და საგალობლებში წამოჭრილია ქართველი ერის „საზეპუროდ“ მიჩნევის პრობლემა, რაც მესიანურ იდეას უკავშირდება. წმიდა ნინოს სახის წარმოჩენა, ქალის მიერ ქართველთა მოქცევაზე, განმანათლებლობაზე ყურადღების გამახვილება, ქართული ეროვნული სულის დამკვიდრება ეპოქის მოთხოვნებით იყო ნაკარნახევი. ღვთისმშობლის წილხვდომილობასა და მის მონაცვლედ წმიდა ნინოს საქართველოში განმანათლებლად წარმოგზავნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება ნიკოლოზ გულაბერისძის მიერ თამარის მეფობის აპოლოგიით იყო განპირობებული, ე. ი. იდეოლოგიური ფუნქციით იყო განსაზღვრული.

ლიტერატურა

1. ციტატები ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულებებიდან ტექსტშივე აქაც და შემდეგშიც მითითებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით: ნიკოლოზ გულაბერისძე, თხზულებანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნესტან სულავამ, მცხეთა, 2007.

2. რ. სირაძე, „წმინდა ნინოს ცხოვრება“ და დასწყისი ქართული აგიოგრაფიისა, თბ., 1997, გვ. 103.

3. *ძველი მეტაფრასული კრებულები*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ნარგიზა გოგუაძემ, თბ., 1986, გვ. 108.

4. იქვე, გვ. 119.

5. იქვე, გვ. 146.

6. წმიდა გრიგოლ ნოსელის *„ქალწულებისათვის“*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა დეკანოზმა გიორგი ზვიადაძემ. იხ. მისი ამავე სახელწოდების საკანდიდატო დისერტაციის დანართი, თბ., 2004, გვ. 26.

7. იქვე, გვ. 9.

8. იქვე, გვ. 17.

9. იქვე, გვ. 19.

10. ნ. სულავა, *ლოცვა ავთანდილისა*, ლიტერატურული ძიებანი, XX, თბ., 1999, გვ. 202-206.

11. *„საზეპურო ერის“ შესახებ*: ნ. სულავა, ტერმინის „ერი საზეპუროს“ ინტერპრეტაციისათვის, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 2004, №1, გვ. 18-34.

12. ამ სიმბოლიკით წარმოაჩინა წმ. ეფრემ მცირემ წმიდა ეფთვიმე ათონელის მთარგმნელობითი საქმიანობის ხასიათი.

13. *ფსალმუნთა განმარტება*, I, გამოსაცემად მოამზადა ნინო დობორჯგინიძემ, თბ., 1996.

14. ნ. სულავა, *განგების რუსთველური კონცეფცია*, კრ.: შოთა რუსთველი, I, სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 2000, გვ. 222-223.

15. კ. კეკელიძე, *ქართული ეკლესიის იერუსალიმური წარმოშობისათვის*, — *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, IV, თბ., 1957, გვ. 361-363.